

2020 წლის 13 ივლისს შედგა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომა. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ გოგიბერიძე. სატენდერო კომისიის წევრები: თეა უჯმაჯურიძე, მათა გოგოლაძე და ნიკოლოზ დუმბაძე. სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი თავაძე, შორენა კაჭარავა და ნინო ვაჩიიშვილი. სხდომას არ ესწრებოდა: მინდია ჟღერია (მივლინება).

**დღის წესრიგი**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში „ცხრაწყაროს ტერიტორიაზე და ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე ე.წ. „ლაშეს“ დელეს ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების, სავაჭრო დახლების და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე – კომისიის წევრი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების გეგმით უნდა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში „ცხრაწყაროს ტერიტორიაზე და ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე ე.წ. „ლაშეს“ დელეს ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების, სავაჭრო დახლების და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობა. სავარაუდო ღირებულება 57203 (ორმოცდაჩვიდმეტათასორასსამი) ლარი, (დ.დ.გ-ს გარეშე). 89% - გრანტი/კრედიტი 11% - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი. სატენდერო კომისიის აპარატმა წარმოგვიდგინა პროექტი სატენდერო დოკუმენტაციის აღნიშნულ შესყიდვაზე, რომელსაც გთხოვთ გაეცნოთ.

აზრი გამოთქვას: თეა უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად. ჩემი წინადადებაა დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცებას მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

**დადგენილება**

1. დამტკიცდეს - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში „ცხრაწყაროს ტერიტორიაზე და ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე ე.წ. „ლაშეს“ დელეს ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების, სავაჭრო დახლების და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვა წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. (პროექტი თან ერთვის).
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ატვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ელექტრონულ სისტემაში

დადგენილებას მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

კომისიის წევრები:

ვლადიმერ გოგიბერიძე

ნიკოლოზ დუმბაძე

თეა უჯმაჯურიძე

მაია გოგოლაძე

აპარატის წევრები:

ლალი თავაძე

შორენა კაჭარავა

ნინო ვაჩიიშვილი